



სტომატოლოგია

პროგრამის კატალოგი



სარჩევი

ჩვენ შესახებ	3
რექტორის გზავნილი.....	3
მისია და ხედვა	4
შესავალი	5
პროგრამის მიმოხილვა	6
პროგრამის მისია	7
პროგრამის მიზნები და ამოცანები	7
პროგრამის აღწერა	9
ბიოსამედიცინო კომპონენტი	10
კომუნიკაციის უნარები	11
სიმულაციურ გარემოში სწავლება	11
კლინიკური სწავლება	12
სამეცნიერო-კვლევითი უნარების ფორმირება	12
სტომატოლოგიური კომპონენტი	13
კლინიკური პრაქტიკა	14
პორტფოლიო	14
არჩევითი კომპონენტი	15
სწავლის შედეგები	16
პროფესიონალიზმი	17
უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკა	18
პაციენტზე ორიენტირებული მოვლა	19
სტომატოლოგია და საზოგადოება	20
ზოგადი კომპეტენციები	20
სწავლება-სწავლის მეთოდების კატალოგი	21
შეფასების სისტემა	23
სასწავლო სივრცე	25
ბაუ კამპუსი	25
სტომატოლოგიური ლაბორატორიები	26
ბაუ საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა	27
ავტორები	28

ჩვენ შესახებ

რექტორის გზავნილი

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახალგაზრდა სასწავლო უნივერსიტეტია საქართველოში, სადაც განათლებისა და კვლევის მისია წარმატებით ხორციელდება მაღალკვალიფიციური მულტიეროვნული აკადემიური პერსონალის, უახლესი სასწავლო ტექნოლოგიებისა და სწავლების მიმართ ინოვაციური მიდგომების საშუალებით. საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მის განხორციელებაში ჩართულები არიან, პროფესორები და მოწვეული პედაგოგები მსოფლიოს 5 ქვეყნიდან, პრაქტიკოსი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები და ჩვენი სტუდენტების მომავალი დამსაქმებლები.



ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ქსელის „ბაუ გლობალის“ წევრია, რომელიც სამი კონტინენტის შვიდ ქვეყანაში აერთიანებს ხუთ უნივერსიტეტს, ხუთ ფილიალ კამპუსს და სამ ენის სკოლას. ეს ჩვენს სტუდენტებს თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების მსოფლიო მასშტაბით წამყვან სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაღრმავების შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს.

უნივერსიტეტს აკრედიტაცია და ავტორიზაცია მინიჭებული აქვს აკრედიტაციის სახელმწიფო სააგენტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რომელიც უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ევროპულ რეესტრშია რეგისტრირებული და ასევე აღიარებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ, რაც თავის მხრივ ჩვენი პროგრამის აკრედიტაციას მსოფლიო მასშტაბით აღიარებულს ხდის. ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი მხარს უჭერს გლობალურ ხედვას მულტიკულტურული სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნის გზით, რომელიც თავის მხრივ სწავლების, კვლევისა და კლინიკური პრაქტიკის მაღალ სტანდარტებზე და ხარისხის მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზეა ორიენტირებული.

Demet Akin – Rector



მისია და ხედვა

მისია

სასწავლო უნივერსიტეტის შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“ მისიას წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო განათლების სფეროში უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვით, სწავლების ინოვაციური მეთოდების შეთავაზებით, ეფექტური მენეჯმენტისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების მუდმივი განვითარებით, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებას ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა მომზადებით.

ჩვენი სტუდენტების მოლოდინი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებასა და მსოფლიო მასშტაბით დასაქმებასთან მიმართებით, წარმოადგენს უნივერსიტეტის გამოწვევას - შექმნას გლობალურად გამოყენებადი უნარების, სამეცნიერო ხედვის, მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და ლიბერალური ფასეულობების მქონე პროფესიონალებად ჩამოყალიბების საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პლატფორმა.

ხედვა

უნივერსიტეტის ხედვაა უახლოეს წლებში ჩამოყალიბდეს მაღალი ცნობადობისა და აკადემიური რეპუტაციის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, როგორც კავკასიის რეგიონში მოთხოვნილების, ასევე საერთაშორისო სარეიტინგო სისტემების მონაცემებით, აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობით სწავლებასა და კვლევაში, რომელშიც წამყვან როლს მისი პროფესურისა და კურსდამთავრებულების მაღალი სამეცნიერო და პროფესიული კვალიფიკაცია განაპირობებს

უნივერსიტეტის როლი საქართველოს, რეგიონისა და საერთაშორისო მასშტაბით, გამოიხატება:

- საუკეთესო პრაქტიკაზე და ინოვაციებზე დაფუძნებულ განათლების ტრანსფერში;
- საერთაშორისო პარტნიორობით მიღებული გამოცდილების გამოყენებაში საქართველოსა და აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში;
- განათლების გლობალიზაციის მიზნების ხელშეწყობაში მულტიეროვნული და მულტიკულტურული საგანმანათლებლო გარემოს შექმნითა და განვითარებით;
- საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, კურსდამთავრებულთა მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად;
- აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობაში საქართველოს საგანმანათლებლო სფეროს, აკადემიური რესურსისა და საგანმანათლებლო ბაზრის პოპულარიზაციისთვის;
- მოქნილი, ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზებაში;

დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების საზოგადოებასთან გაზიარებაში, გამოყენებითი კვლევების განხორციელების, მთელი სოცოცხლის განმავლობაში სწავლისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო სოციალური პროექტების განხორციელებით.

შესავალი



ემირ იუზბაევი
პროფესორი
სტომატოლოგიის პროგრამის
ხელმძღვანელი

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი დიპლომამდელი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ გამომდინარეობს სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის ADEE (Association for Dental Education in Europe) დარგის მახასიათებელიდან „Graduating European Dentist“ და ითვალისწინებს უმაღლესი სტომატოლოგიური განათლების ეროვნული სექტორის და შრომის ბაზრის კონტექსტს. პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს Queen Mary University-ს სტომატოლოგიური სკოლისა და თურქეთის სტამბულის ბაჰჩეშირის უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის გამოცდილება.

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩარჩო წარმოადგენს სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის მიერ შემუშავებული დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და აქტუალური კომპეტენციების ადაპტირებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს გათვალისწინებით, რაც მომავალში შესაძლებელია გახდეს სტომატოლოგიის სფეროს ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველი.

სამედიცინო მომსახურების და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესება იქცა თანამედროვე მსოფლიოს უმთავრეს პრიორიტეტად. ამ კონტექსტში, სამედიცინო, მათ შორის სტომატოლოგიური მედიცინის განათლების ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ამოცანა ბევრი ქვეყნისთვის და მათ შორის საქართველოსთვის. პირის ღრუს ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე არამედ ფსიქო- სოციალურ მდგომარეობაზე. სტომატოლოგია ძალიან სწრაფად განვითარებადი დარგია და ადეკვატურად პასუხობს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ წინსვლას. ეს თავის მხრივ იწვევს მკურნალობის ახალი მეთოდების და გაიდლაინების დანერგვას. ამის ნათელი მაგალითია პერიოქიურგია, ციფრული სტომატოლოგია, იმპლანტაცია ციფრული შაბლონების გამოყენებით და სხვა. პაციენტების ცნობიერების ამაღლებამ შეცვალა დამოკიდებულება სტომატოლოგიის მიმართ, - თანამედროვე სტომატოლოგია არა მხოლოდ ზოგადი ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი და სიცოცხლის ხარისხის გამაუმჯობესებელი დარგია, არამედ მას უდიდესი ესთეტიკური მნიშვნელობაც აქვს.



ირაკლი ჩაჩუა
სტომატოლოგიის პროგრამის
ხელმძღვანელი

სტომატოლოგიურ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა ბაზრის გაჯერება და შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნილება კვალიფიციურ სტომატოლოგიურ კადრებზე. სტომატოლოგიის პროგრამებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობის ზრდა და სტომატოლოგიის ახალი მიღწევების სწავლების საჭიროება არის გამოწვევა თანამედროვე სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მიმართ.

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას კარგ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებით, მათ შორის, დენტალური მედიცინის/სტომატოლოგიის მიმართულებით, რაც პირდაპირ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

პროგრამის მიმოხილვა

პროგრამის სახელი: სტომატოლოგია

კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი / Doctor of Dental Medicine (DMD)

საგანმანათლებლო ერთეული: მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა

მიმართულება: 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

სპეციალობა: 091 ჯანდაცვა

სპეციალიზაცია: 0911 დენტალური მედიცინა

კვალიფიკაციის კოდი: 0911.1.1 სტომატოლოგია

პროგრამის დონე: ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
მეესაბამება კვალიფიკაციათა ევროპული ჩარჩოს VII დონეს

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის ხანგრძლივობა: 5 აკადემიური წელი

პროგრამის მოცულობა: 300 ECTS კრედიტი

9000 აკადემიური საათი

აკადემიური დატვირთვა: საკონტაქტო: 4 797 საათი სავალდებულო სასწავლო
კურსებიდან


დამოუკიდებელი მუშაობა: 3 813 საათი

არჩევითი კურსები: 390 საათი

სტუდენტის საშუალო დღიური აკადემიური დატვირთვა: 6-7 საათი

ადიარება:

ავტორიზებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 8
ივლისის N689586 გადაწყვეტილების საფუძველზე



პროგრამის მისია

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მისიას წარმოადგენს სწავლების ინოვაციურ მიდგომებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განათლების განხორციელება სტომატოლოგიურ სწავლებაში, საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადების მიზნით.



პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, სტომატოლოგიური განათლების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი კომპეტენციის სტომატოლოგი, ფუნდამენტური თეორიული და მტკიცებულებებზე დამყარებული სამეცნიერო ცოდნით, მისი პრაქტიკაში რეალიზების ინოვაციურ-ტექნოლოგიური ხედვებითა და პრაქტიკოსი სტომატოლოგისთვის აუცილებელი კლინიკური/პრაქტიკული უნარებით, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით დასაქმებისა თუ სწავლის შემდგომი გაგრძელების მიმართულებით. პროგრამა ორიენტირებულია პროფესიული და ლიბერალური ღირებულებების ფორმირებაზე, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს მსოფლიოს საგანმანათლებლო და ჯანდაცვის საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

პროგრამის ამოცანაა სტომატოლოგიური გუნდის აქტიური წევრის, მათ შორის ეფექტური ლიდერის, პროფესიულ სფეროში ეფექტური კომუნიკაციის უნარის მქონე სპეციალისტის მოზადება; ექიმ-სტომატოლოგის როლის გაცნობიერება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე და ამ ყველაფერზე დაყრდნობით, შესაბამისი პროფესიული ღირებულებების, ანგარიშვალდებულებისა და კრიტიკული თვითშეფასების ფორმირება.

პროგრამის საკვანძო ამოცანაა პირის ღრუს დაავადების პროფილაქტიკური ღონისძიებების სპექტრის ცოდნითა და მათი გატარების უნარით აღჭურვილი, სტომატოლოგიის ყველა მიმართულებაში დაავადებების ეტიოლოგიური ფაქტორების, კლინიკური სურათის, დიფერენციული დიაგნოზის გატარების და თანამედროვე გაიდლაინების გამოყენებით შესაბამისი მკურნალობის გეგმის შემუშავების და მიღებული შედეგის შენარჩუნების უნარის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება.

პროგრამა ორიენტირებულია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს პროფესიული და ეთიკური ღირებულებები, კვლევითი კომპეტენცია და ცოდნის მუდმივად გადრმავებისადმი სწარფვა, რაც წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროს ნებისმიერი სპეციალისტის პროფესიონალიზმის საფუძველს.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგია უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, რომელიც ჯანდაცვის სფეროში განათლების მაღალი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვით, სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზებით, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების მუდმივი განვითარებით ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებას სტომატოლოგიური სფეროს პროფესიონალთა მომზადებით.

პროგრამის აღწერა

სტომატოლოგიის პროგრამის ბიოსამედიცინო და კლინიკური მედიცინის კომპონენტები აუცილებელი მოცულობით ითვალისწინებს უმაღლესი სამედიცინოგანათლების ეროვნული სექტორის საორიენტაციო მოთხოვნებს. პროგრამის თითოეული კომპონენტი შექმნილია იმისთვის, რომ ჩამოაყალიბოს სხვადასხვა კომპეტენცია სწავლების სხვადასხვა დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ ითვალისწინებს მედიკობიოლოგიურ კომპონენტების ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ ტრანსდისციპლინალურ მოდულებს და განგრძობითად მიწოდებულ სასწავლო კურსებს მედიცინის, სტომატოლოგიის და არჩევითი (როგორც სტომატოლოგიური, ასევე არასტომატოლოგიური) მიმართულებებით. პროგრამა დამყარებულია ორგანოთა სისტემების მიხედვით ნორმისა და პათოლოგიის და საბაზისო და კლინიკური საგნების ლოგიკურ და თანმიმდევრულ ინტეგრაციაზე. კურიკულუმი ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ და სასწავლო კურსები დალაგებულია ერთმანეთზე დაშენების პრინციპით, ლოგიკურად აწყობილი წინაპირობების სისტემით.

ბიოსამედიცინო კომპონენტი

პირველი სასწავლო წლის თითოეული მოდული/ბლოკი MED1001-MED1008 მოიცავს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინას. მოდულში არსებული თემები, ან საკითხები ორგანოთა სისტემების მიხედვით დალაგებულია იმგვარად, რომ სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას კონკრეტული თემის ირგვლივ სხვადასხვა ბიო-სამედიცინო დისციპლინის პერსპექტივიდან. გარდა ამისა, ბლოკებში დაინტეგრირებულია ვერტიკალურად კლინიკური საკითხებიც, რომელთა აკუმულაცია ხდება PBL ქეისებით. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და ქეისზე დაფუძნებული სწავლების (CBL) მეთოდები აქტიურად გამოიყენება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით, 14 MED1001- MED1008, DEN2001 და DEN2003 ინტერდისციპლინურ მოდულებში, რომელიც ზრდის სწავლის პროცესში ინტეგრაციას. ეს ფორმატი აღმოფხვრის ცოდნის დანაწევრების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების და კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას სწავლების ადრეულ ეტაპზე. PBL სესიაში ჩართულია 7-10 სტუდენტი, რომლებიც მუშაობენ ერთი პრობლემის ირგვლივ ფასილიტატორის ზედამხედველობის ქვეშ. ეფექტური გუნდური მუშაობა მნიშვნელოვანი ნაწილია PBL-ის, ასევე წყაროების დამოუკიდებლად მოძიება, საკუთარი სწავლის მიზნების განსაზღვრა, დამოუკიდებელი სწავლის უნარი და ჯგუფისთვის საკუთარი დასკვნების წარდგენა დაეხმარება სტუდენტს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

სწავლების მეორე წლიდან გათვალისწინებულია ორგანოთა სისტემებზე დამყარებული პათოლოგიური პროცესებისა და ფაქტორების შესწავლა, რომელიც უდევს საფუძვლად დაავადებებს და დაშენდება უკვე არსებული ნორმის ცოდნაზე პირის ღრუს ჯანმრთელობის გათვალისწინებით. ხოლო სწავლების მესამე-მეოთხე წელს პროგრამა „კლინიკური სამედიცინო მეცნიერებები სტომატოლოგიაში 1, 2, 3, 4, და 5“ სასწავლო კურსების ფარგლებში ითვალისწინებს იმ სამედიცინო დისციპლინების შესწავლას, რომელიც აუცილებელია სტომატოლოგიისათვის სისტემური დაავადებების ცოდნის თვალსაზრისით; ასევე, პაციენტის მართვის, ანესთეტიკურ საშუალებებზე ალერგიული რეაქციის შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების გაწევის და პირის ღრუს ჯანმრთელობასთან ასოცირებული სხვა სამედიცინო თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის მიმართულებით.



კომუნიკაციის უნარები

კომუნიკაციის უნარები პროგრამაში ინტეგრირებულია ვერტიკალურად პირველ სასწავლო წელს სასწავლო კურსები „კომუნიკაციის უნარები და აკადემიური წერა 1 და 2“ და „ფილოსოფია და ეთიკა მედიცინაში 1 და 2“, რომელთა ფარგლებში როლური თამაშები და კონკრეტული შემთხვევების განხილვა სტუდენტს აძლევს საშუალებას შეისწავლოს სხვადასხვა ტიპის პაციენტთან, კოლეგებთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან როგორც ვერბალური, ასევე წერილი კომუნიკაციის ელემენტები, რაც აუცილებელია სამედიცინო სფეროში ურთიერთობისას. ამავე საკითხების გაღრმავება ხდება მეორე სასწავლო წელს „კარგი სამედიცინო პრაქტიკის საფუძვლებში“, ხოლო კომუნიკაციისა და ქვევის უნარების 15 დაშენება შემდგომ ხდება სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის შესავალი კურსის და ქვევითმეცნიერების სასწავლო კურსის მეშვეობით. უცხოელი სტუდენტი 22 კრედიტის მოცულობით ქართული ენის შესწავლისას, ხოლო ქართველი სტუდენტი 12 კრედიტის მოცულობით გერმანული ან თურქული ენის შესწავლისას ასევე იღრმავებს კომუნიკაციის უნარს, რაც ხელს შეუწყობს კლინიკური სტაჟირების დროს პაციენტთან ურთიერთობას.

დარგობრივი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას მესამე სასწავლო წლიდან ემსახურება სასწავლო კურსი „კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა სტომატოლოგიურ ოფისში“. რასაკვირველია, სხვა დარგობრივი სასწავლო კურსებიც გარკვეული დოზით უზრუნველყოფენ პაციენტთან და არა მხოლოდ პაციენტთან კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას.



სიმულაციურ გარემოში სწავლება

პროგრამაში 1129 საათი ეთმობა სიმულაციურ (სიმულაციურ გარემოში სწავლება - TSE) და კლინიკურ გარემოში სწავლებას (TCE). პროგრამა დასაწყისიდანვე (ჯერ კიდევ პირველი კურსის მოდულებში) ორიენტირებულია კლინიკური პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. სიმულაციურ გარემოში სტუდენტები მუშაობენ გვამზე და ანატომიურ მოდელებზე, ანატომიის და კლინიკური ანატომიის დისციპლინის ფარგლებში ანატომიური მანეკენების და გვამის ლაბორატორიაში. შემდგომ მანეკენებსა და სიმულატორებზე ხდება კლინიკური უნარების დაშენება „კარგი სამედიცინო პრაქტიკის საფუძვლები“ კურსის ფარგლებში სწავლება სიმულაციურ გარემოში ფორმატის მეშვეობით OSCE -სა და კლინიკური უნარების ცენტრში. მეოთხე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ ფანტომებზე და პროთეზებზე (კლინიკური და პროფესიული სტომატოლოგიური უნარების ლაბორატორიაში, სტომატოლოგიური პროთეზების ტექნიკურ ლაბორატორიასა და სტომატოლოგიური კლინიკის სიმულაციურ ლაბორატორიაში) მუშაობას და უშუალოდ სტომატოლოგიური კლინიკური უნარების გამომუშავებას.

კლინიკური სწავლება

კლინიკურ გარემოსთან ადაპტაცია იწყება სწავლების პირველივე წლიდან კლინიკური ვიზიტების სახით, რომლის დროსაც სტუდენტი გარკვეულ დროს ატარებს კლინიკაში კლინიკური გარემოს გასაცნობად და სამედიცინო/სტომატოლოგიურ გუნდში ადაპტირების 16 მიზნით, ხოლო მოგვიანებით, სწავლების მაღალ წელს კლინიკაში როტაციების შედეგად სტუდენტს აქვს საშუალება გაათვითცნობიეროს, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სიმულაციურ გარემოში ათვისებული უნარები კლინიკაში პაციენტზე და დაშვებულის ფარგლებში გაამყაროს ეს უნარები პაციენტთან ურთიერთობისას რეალურ გარემოში. სწავლების ბოლო წელს კლინიკური პრაქტიკის დროს, რომელსაც ეთმობა 8 კრედიტი, თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად ეძლევა საშუალება ასისტირება გაუწიოს კლინიკაში ექიმ-სტომატოლოგს.

კლინიკურ გარემოში სწავლება ჩამყვებულისა თითქმის ყველა კლინიკურსასწავლოკურსში და სრულდება კლინიკური პრაქტიკით, ჯამში კლინიკურ გარემოში სწავლება მოიცავს 511 საკონტაქტო საათს. როგორც სამედიცინო, ასევე სტომატოლოგიური კლინიკური სასწავლო კურსების უმრავლესობა ტარდება როტაციული სისტემით. ხანგრძლივობა მინიმუმ ერთ- და მაქსიმუმ 6-კვირიანია.



სამეცნიერო-კვლევითი უნარების ფორმირება

თანამედროვე ექიმი-სტომატოლოგი წარმოდგენილია სამეცნიერო-კვლევითი უნარების გარეშე. არსებული პროგრამა უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო უნარჩვევების განვითარებას სწავლების პირველივე წლიდან „კომუნიკაციური უნარების და აკადემიური წერის“, სამეცნიერო კვლევის უნარების“, „ კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკის“, „ეპიდემიოლოგიისა და პრევენციული მედიცინის“, „მტკიცებითი სტომატოლოგიის“ კურსების მეშვეობით და სრულდება დამამთავრებელ სემესტრში კვლევითი პროექტის შესრულებითა და დაცვით. პროგრამის კვლევითი კომპონენტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ და დაეუფლონ სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, შეეჩვიონ სამეცნიერო წყაროების ეფექტურ გამოყენებას, შეძლონ კვლევის შედეგების გაანალიზება და ეტაპობრივად გააუმჯობესონ კვლევის უნარები. სტუდენტები სწავლობენ მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას და ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს ისევე, როგორც კვლევის დაგეგმვას, წარმართვას, დაწერას და წარდგენას. კვლევით კომპონენტს პროგრამაში უჭირავს 21 კრედიტი.

სტომატოლოგიური კომპონენტი

Year

II

დარგობრივი მიმართულებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები იწყება სწავლების მეორე წლიდან პირის ღრუს და ყბა-სახის ორგანოების კლინიკური ანატომიის და ფიზიოლოგიური პროცესების ინტეგრირებული სწავლების გზით. ამავე წელს, იწყება პირის ღრუს დაავადებების და მათი მკურნალობის შესაბამისი მანიპულაციების თეორიულ პრაქტიკული სწავლება, როგორცაა: ანესთეზიის ტექნიკები სტომატოლოგიაში და მათი პრაქტიკული გამოყენება, ქირურგიული ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება, დაავადებების თერაპიული კუთხით მკურნალობისათვის შესაბამისი მეთოდებისა და მასალების ცოდნა. აღნიშნული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა წარმოადგენს სტუდენტისთვის წინაპირობას შემდეგ სემესტრებში სხვადასხვა სიმძიმის დაავადებების სწორი დიაგნოსტიკებისა და შესაბამისი სამკურნალო მანიპულაციების შესასწავლად

Year

III

ძირითადი სტომატოლოგიური დაავადებების სწავლება პროგრამაში იწყება სწავლების მესამე წლიდან. სტუდენტი შეისწავლის კარიესოლოგიას, პირი-ღრუსა და ყბა-სახის ანთებით დაავადებებს, მათ ეტიოლოგიას, კლინიკური სურათს, დიფერენციული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდებს, ანთებითი დაავადებების მკურნალობის თერაპიულ და ქირურგიულ მეთოდებს, მათ შორის კბილთა არხების მკურნალობას; ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების საფუძვლებს; ამავე წელს გათვალისწინებულია პირის ღრუს პროთეზირების შესავალი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პროთეზირებისათვის მასალათმცოდნეობის საკითხებს. მესამე წლის ფარგლებში ხორციელდება სწავლების მეორე წელს მიღებულ თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნის გაღრმავება და სიმულაციურ გარემოში, ფანტომებზე სწავლება. გარდა დარგობრივი ფუნდამენტური საკითხებისა, სტუდენტი ეუფლება სტომატოლოგიური კლინიკის ფარგლებში სტომატოლოგიურ გუნდთან ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.

Year

IV

სწავლების მეოთხე წელს გათვალისწინებულია ყბა-კბილთა სისტემის მაგარი და რბილი ქსოვილების უფრო რთული და კომპლექსური დაზიანებებისა და დაავადებების (საფეთქელქვედა ყბის სახსრის პათოლოგია, ყბა-სახის და კბილების ტრავმატოლოგია, თანკბილვის ანომალიები, დანაკლისი კბილების აღდგენა) ეტიოლოგიის, კლინიკის, დიაგნოზირების და დიფერენცირების შესწავლა. ასევე, ხდება მათი თერაპიული, ქირურგიული, ორთოდონტიული და ორთოპედიული მკურნალობის უახლესი მეთოდების სწავლება და მათი პრაქტიკით განმტკიცება როგორც სიმულაციურ, ისე კლინიკურ გარემოში. აღნიშნული 18 ცოდნა და უნარები ქმნის საფუძვალს დამამთავრებელ წელს სტუდენტმა მოახერხოს პირის ღრუსა და ყბა-სახის დაავადებების შედეგად მიღებული პათოლოგიური მდგომარეობის აღდგენითი მანიპულაციების ჩატარება.

Year

V

სწავლების მეხუთე წელს სტუდენტი ეუფლება თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ისეთი რთული და კომპლექსური დაავადებების მკურნალობისთვის, როგორცაა: პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები და ინფექციები, პირის ღრუსა და ყბა-სახის სიმსივნეები; გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია აღდგენითი მანიპულაციების შესწავლა, მაგალითად იმპლანტაცია, მოუსწნელი და მოსახსნელი პროთეზირება, ყბა-სახის და პირის ღრუს ორთოდონტიული მკურნალობა და სხვა. „კლინიკური ფარმაკოლოგიის“ კურსი, რომელიც ისწავლება ამავე წელს, სტუდენტს აძლევს საშუალებას დაეუფლოს პირის ღრუსა და ყბა-სახის დაავადებების არაინვაზიური მკურნალობის დროს საჭირო ფარმაკო-თერაპიულ ცოდნას, რაც ასევე მნიშვნელოვანია პოსტოპერაციულ შედეგის შენარჩუნებისა და პერსონალიზირებული მკურნალობის კურსის შერჩევით.

კლინიკური პრაქტიკა

პროგრამის X სემესტრში გათვალისწინებული კლინიკური პრაქტიკა მოიცავს სტომატოლოგიის საკვანძო მიმართულებებს, კერძოდ: თერაპია, ორთოპედია, პირის ღრუს ქირურგია. ასევე, ეს კურსი მოიცავს სტომატოლოგიური კაბინეტის მართვის პრაქტიკულ ნაწილს. კურსის ფარგლებში ხდება უკვე არსებული თეორიული ცოდნის და სიმულაციურ გარემოში ათვისებული პრაქტიკული უნარების განმტკიცება კლინიკურ გარემოში რეალურ პაციენტთან და სტომატოლოგიურ გუნდთან.

პორტფოლიო

პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია პერსონალურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით სწავლის განმავლობაში სტუდენტის აქტივობები და მიღწევები გროვდება პორტფოლიოში, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულია და მუდმივი უკუკავშირის მეშვეობით ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას და ახდენს ექიმი-სტომატოლოგის ძირითადი კომპეტენციების, თვითშეფასების და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარის შეფასებას. აღნიშნული ფორმატი იძლევა სტუდენტის მაფორმატირებელი შეფასების საშუალებას და უზრუნველყოფს რეგულარულ უკუკავშირს პედაგოგს და სტუდენტს შორის.

პორტფოლიო მოიცავს სამ სხვადასხვა მიმართულებას:

1. სტუდენტის კურიკულუმგარეშე აქტივობა, სადაც აისახება სტუდენტის მიღწევები; კონფერენციის, ტრენინგის და სხვა აქტივობის სერთიფიკატები; საუნივერსიტეტო ღონისძიებებში ჩართულობის და დამატებითი კლინიკური აქტივობა.
2. ქეისის წარდგენა - თითოეული სტუდენტი ვალდებულია სემესტრში ერთხელ კლინიკური ვიზიტების ან პრაქტიკის დროს დაამუშაოს ერთი რეალური კლინიკური შემთხვევა და წარადგინოს მენტორის და კომისიის წინაშე.
3. სტუდენტის თვითშეფასება - სემესტრში ერთხელ პედაგოგები აფასებენ თავის სტუდენტებს, ხოლო სტუდენტი ახდენს თვითშეფასებას. პედაგოგების შეფასების შეჯამების საფუძველზე ტუტორი აკეთებს უკუკავშირს და უსახავს განვითარების გეგმას თითოეულ სტუდენტს. გარდა ამისა, მენტორი ავსებს ინფორმაციას კონკრეტული სტუდენტის კლინიკურ პრაქტიკაზე აქტივობის შესახებ.

არჩევითი კომპონენტი

პროგრამა ძირითადი სასწავლო კურსების გარდა უზრუნველყოფს დარგობრივ და არადარგობრივ არჩევით კურსებს. მათ შორის ისეთს რომლებიც სიახლეს წარმოადგენს საქართველოში სტომატოლოგიური განათლებისათვის, როგორცაა „ერგონომიკა სტომატოლოგიაში“, „დენტალური იმპლანტაცია“, „სტომატოლოგიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება“, „ლაზეროთერაპია და დენტალური ფოტოგრაფია“.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისი სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შინაარსს, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული ეროვნული თუ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ანალიზის მიგნებებს, სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის დარგობრივი დოკუმენტით გათვალისწინებულ კომპეტენციებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციასთან მიმართებით.

პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით:

პროფესიონალიზმი	უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკა	პაციენტზე ორიენტირებული მოვლა	სტომატოლოგია და საზოგადოება
ეთიკა, ეფექტური ლიდერობა და კომუნიკაცია, რეგულირება და ანგარიშვალდებულება, კრიტიკული თვითშეფასება	ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების გაცნობიერება, პირის ღრუს ჯანმრთელობის ბიოსამედიცინო საფუძვლები	ქვევის მართვა, კლინიკური ინფორმაციის შეგროვება და დიაგნოსტიკა, მკურნალობის დაგეგმვა, პირის ღრუს ჯანმრთელობის შენარჩუნება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემატიკა, ჯანდაცვის ადვოკატირება, ქვევის ცვლილების მნიშვნელობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში
განსაზღვრავს კურსდამთავრებულის მიერ გამოთქმულ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს პროფესიული და საქმიანი ეთიკის, პაციენტთან, მის მომვლელთან, სტომატოლოგიური გუნდის წევრებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალებთან ეფექტური კომუნიკაციის; სფეროს რეგულირების წესების ცოდნის; პროფესიული ანგარიშვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარების; სტომატოლოგიური გუნდის ეფექტური ლიდერობის; გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების მართვის უნარის ფორმირების; კრიტიკული თვითშეფასებისა და საკუთარი შესაძლებლობათა ზღვარის გაცნობიერების მიმართულებით.	ითვალისწინებს ორგანიზმის დაავადებათა სისტემური საფუძვლებისა და სტომატოლოგიური დარგის მეცნიერული ბაზისის სიღრმისეული ცოდნის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას, პაციენტის მოვლის პროცესში ეფექტური კლინიკური მართვის განხორციელებას.	ითვალისწინებს კლინიკური ინფორმაციის შეგროვებისა და დიფერენციული დიაგნოსტიკის, ნებისმიერი საჭიროების მქონე პაციენტის მკურნალობის დაგეგმვის, პირის ღრუს ჯანმრთელობის შენარჩუნების თეორიულ საფუძვლებს და პრაქტიკული/კლინიკური უნარების ფორმირებას.	მოიცავს პირის ღრუს ჯანმრთელობის დაცვის ცხოვრების ხარისხზე გავლენის სიღრმისეულ შესწავლას; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროფესიული ადვოკატირების უნარების განვითარებისა და საკუთარი პროფესიული საქმიანობის შედეგის საზოგადოებრივ კონტექსტში გაცნობიერებას..

დარგობრივი სწავლის შედეგების გარდა, პროგრამის ზოგადი სწავლის შედეგები განსაზღვრავს გამჭოლ კომპეტენციებს, როგორცაა ინფორმაციის მართვის, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ცოდნის უწყვეტად განახლების და ახალ სიტუაციებზე რეაგირების უნარები.



პროფესიონალიზმი

ეთიკა

ადიარებს საზოგადოების წევრების ჯანმრთელობის დაცვას, როგორც საკუთარ პროფესიულ პრივილეგიას - ესმის ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური პრინციპები და მოქმედებს მათ შესაბამისად ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში, პაციენტის საჭიროებისა და მისი ინტერესების პრიორიტეტის გათვალისწინებით.

სამეცნიერო კვლევის წარმართვისას მოქმედებს მისი ეთიკური პრინციპების დაცვით, ითვალისწინებს სამეცნიერო ობიექტურობის, ვალდურობის, მიუკერძოებლობის, აკადემიურ პატიოსნების ღირებულებებს

ეფექტური ლიდერობა და კომუნიკაცია

ავლენს ლიდერულ თვისებებს სტომატოლოგიური გუნდის ხელმძღვანელობისას, განსაზღვრავს საქმიანობის სამოქმედო სტრატეგიას, მიზნებსა და ამოცანებს, მართავს ცვლილებებისათვის აუცილებელ რესურსებს. განმარტავს გუნდის ყველა წევრის როლს უსაფრთხო და ეფექტური სტომატოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფაში პრაქტიკაში დამკვიდრებულ სტანდარტებისა და ეთიკური პრინციპების დაცვის ჩათვლით.

ეფექტურად ურთიერთობს, იღებს და აზიარებს იფორმაციას სპეციალისტებთან თუ არასპეციალისტებთან, ვერბალურად თუ წერილობით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, პროფესიული კომუნიკაციის მიღებული ფორმის დაცვით

რეგულირება და ანგარიშვალდებულება

იცნობს ჯანდაცვის სფეროს საკანონმდებლო რეგულირებას სტომატოლოგიური პრაქტიკის ყველა ასპექტში (ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, ინფექციების პროფილაქტიკისა და კონტროლის პროცედურები, მონაცემთა დაცვა, მაიონებელი გამოსხივების გამოყენება) იცავს და ითვალისწინებს მარეგულირებელი სისტემის მოთხოვნებს

კრიტიკული თვითშეფასება

ავლენს კრიტიკული თვითშეფასებისა და კოლეგების შეფასების გაზიარების უნარებს და მათ შედეგად, აცნობიერებს, თუ როდის უნდა მიმართოს დახმარებას ან რჩევას. სწორად განსაზღვრავს საკუთარი შესაძლებლობების ზღვარს. ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას თავის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე.

უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკა

ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების გაცნობიერება

აცნობიერებს ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებს მოლეკულურ, ორგანულ და ორგანიზმულ დონეზე. მტკიცებულებათა საფუძველზე, უახლესი ცოდნის გათვალისწინებით, განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურასა და ფუნქციებში ცვლილებების მიზეზებს და მექანიზმებს სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში..

პირის დრუს ჯანმრთელობის ბიო-სამედიცინო საფუძვლები

იცის პირის დრუსთან დაკავშირებული ბიომედიცინის მეცნიერული საფუძვლები. აცნობიერებს სხვადასხვა სისტემური დაავადებების ეტიოლოგიასა და პათოგენეზს და აღწერს მათ კავშირს პირის დრუსა და ყბა-სახის არეში მიმდინარე მწვავე და ქრონიკულ მდგომარეობებთან. არსებული ცოდნის საფუძველზე, ფარმაცოთერაპიის ჩათვლით, შეუძლია დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა.

აღწერს თავის ქალას და სახის ნორმალურ ზრდას და პირის დრუს ქსოვილების განვითარებას, ასაკობრივი ცვლილებების გათვალისწინებით. კლინიკური პროცედურებისას იცავს ინფექციის კონტროლისა და რადიაციული უსაფრთხოების ძირითად პრინციპებსა და ინსტრუქციებს.

სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის აფასებს და იყენებს სათანადო ვიზუალიზაციის მეთოდების შედეგებს ადეკვატურად რეაგირებს და მართავს გადაუდებელ შემთხვევებს სამედიცინო და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. იცის სტომატოლოგიური მასალების მახასიათებლები, მათი გამოყენების უპირატესობები და მუხლუდები, გამოყენებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხების ჩათვლით..

პაციენტზე ორიენტირებული მოვლა

ქვევის მართვა

შეუძლია პაციენტზე ძალადობისა და უგულვებელყოფის კვალის გამოვლენა და ახდენს სათანადო რეაგირებას. აცნობიერებს პირის დრუს ჯანმრთელობის ზეგავლენას ზოგად ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხარისხზე, აანალიზებს ზოგად და პირის დრუს ჯანმრთელობაზე მოქმედ რისკ-ფაქტორებს და ქვევითი მეცნერებების ცოდნის გამოყენებით ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტებთან ქვევის ცვლილებასთან დაკავშირებით, მათი ასაკის, მდგომარეობის და საჭიროების გათვალისწინებით მართავს პირის დრუს ჯანმრთელობას ასაკის, მდგომარეობისა და განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით.

კლინიკური ინფორმაციის შეგროვება და დიაგნოსტიკა

სათანადოდ აანალიზებს და აღიქვამს პაციენტის ჩივილებს, გენეტიკურ, სოციალურ და სტომატოლოგიურ ისტორიას, შეუძლია პაციენტის ისტორიის სრულყოფილი შევსება. ახორციელებს პირის დრუს რბილი და მაგარი ქსოვილების პირ-შიგნითა და პირგარეთა გამოკვლევას, საჭიროებისამებრ იყენებს დამატებით დიაგნოსტიკურ მეთოდებს და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სვამს ზუსტ დიაგნოზს.

მკურნალობის დაგეგმვა, მკურნალობა და შედეგის შენარჩუნება

მკურნალობის დაგეგმვისა და მკურნალობის პროცესში, ითვალისწინებს თითოეული პაციენტის ასაკს, ინდივიდუალურ და სპეციალურ საჭიროებებს, მოთხოვნილებებსა და 11 ღირებულებებს. განსაზღვრავს ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ მკურნალობის დაგეგმვის, სამედიცინო დახმარების და შემდგომი დაკვირვების გართულება.

იცის და იყენებს ადრეული და დიფერენციული დიაგნოსტიკის კლინიკურლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ მეთოდებს სტომატოლოგიის მიმართულებით.

ასრულებს პირდაპირ და არაპირადაპირ რესტავრაციებს, ახდენს კბილთა მწკირვის ფუნქციურ, ესთეტიკურ აღდგენას და წარუმატებელად დამზადებული კონსტრუქციების შეცვლას.

აფასებს მკურნალობის შედეგს, ადგენს მონიტორინგის და მიღებული მკურნალობის შედეგის შენარჩუნების პროგრამას, რომელშიც საჭიროებისამებრ რთავს სტომატოლოგიური გუნდის და სამედიცინო სფეროს სხვა სპეციალისტებს.

ასრულებს ინფილტრაციულ და რეგიონულ ანესთეზიას ქირურგიული და არაქირურგიული პროცედურების ჩატარების მიზნით და მართავს პოტენციურ გართულებებს.

ახორციელებს ექსტრაექციას, გეგმავს და ახორციელებს დენტალურ იმპლანტაციას.

შეიმუშავებს სტრატეგიებს პაციენტის პირის დრუს ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. ახორციელებს პროფილაქტიკურ პროცედურებს და მინიმალურ ინვაზიურ პროცედურებს პირის დრუს რბილი და მაგარი ქსოვილების დაავადებების პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით..

სტომატოლოგია და საზოგადოება

აცნობიერებს დემოგრაფიის და ჯანმრთელობის ტენდენციებს ეროვნული და მსოფლიო ჯანდაცვის სისტემის კონტექსტში - პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენას საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ითვალისწინებს საზოგადოებაში ჯანმრთელობის დაცვის პოპულარიზაციის აუცილებლობას, ანალიზებს სტომატოლოგიური დახმარების როლს პირველად ჯანდაცვაში.

იცნობს პირის ღრუსა და სისტემურ დაავადებებს, მათთან ასოცირებულ რისკფაქტორებთან ერთად, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის აღიარებულ პრობლემებს წარმოადგენენ.

აცნობიერებს ქცევის ცვლილების მნიშვნელობასა და შეზღუდვებს მოსახლეობის დონეზე და ანალიზებს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის პროფესიული ადვოკატირების მნიშვნელობას დაავადებების პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის საქმეში

აფასებს ზოგად და პირის ღრუს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პოლიტიკას ჯანდაცვის სფეროში, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საუკეთესო პოლიტიკებისა და სტრატეგიების მაგალითებს, აფასებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დონისძიებებს თანაბარი ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და შედეგების თვალსაზრისით.



ზოგადი კომპეტენციები

ზოგადი კომპეტენციები

ანალიზისა და სინთეზის უნარი

ინფორმაციის მართვის უნარი

პრობლემის გადაწყვეტის, კრიტიკული აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარები

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

სწავლის/ცოდნის მუდმივად განახლების უნარი

ახალ სიტუაციებთან ადაპტირების (შეგუების) შესაძლებლობა

სწავლება-სწავლის მეთოდების კატალოგი

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ახდენს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრირებას, პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებას ლაბორატორიულ, სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში. თითოეული სასწავლო კურსის ან მოდულის სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება კონკრეტული დისციპლინის მიზნებს და სწავლების მოსალოდნელ შედეგებს. მეთოდოლოგიის შერჩევის დროს, ასევე გათვალისწინებულია საგნის შინაარსი, ფორმატი და სპეციფიკური მახასიათებლები.

ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სწავლებები იქნება სასწავლო პროცესის ძირითადი კომპონენტები სემინარების დროს. გამოყენებულ იქნება ახსნის, დისკუსიის, ილუსტრაციის, ინდექსი/დედექსის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, სინთეზის და ანალიზის მეთოდები. სწავლების საწყის ეტაპზე, კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მოხდება შესაბამისი სიმულაციების, მანეკენების და ექიმს და პაციენტს შორის როლური თამაშების გამოყენებით. შემდეგში, უნარების დახვეწა მოხდება კლინიკურ გარემოში, სტუდენტის უშუალო ჩართულობით და კონტაქტით პაციენტის სავარძელთან, მისი შემოწმებით და მკურნალობით.

პროგრამის მიზნების მისაღწევად, შემდეგი მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული:

<p>ლექცია</p>	<p>შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც თანადროულად არის ჩართული ლექტორი და სტუდენტი. ლექციის მთავარი მიზანი არის ის, რომ გააზრებულ იქნეს სასწავლო კურსის ძირითადი დებულებები. ლექცია შეიძლება იყოს დიდაქტიკური ან ინტერაქტიული. ამის გარდა, უმთავრესია, განმარტებების, მითითებების და ვარაუდების სწორი მიწოდება და ძირითადი საკითხების, ფაქტების და იდეების შემოქმედებითი ანალიზი. ლექცია უზრუნველყოფს საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურ მიწოდებას, რომელიც არ არის დატვირთული ზედმეტი დეტალებით. ამიტომაც, ის არის ლოგიკურად დაგეგმილი და ჩატარებული. ამის გარდა, ლექტორი იყენებს ფაქტებს, მაგალითებს, ცხრილებს, ნახაზებს და სხვა ვიზუალურ მასალას საკუთარი აზრის და მასალის საილუსტრაციოდ. ლექცია უზრუნველყოფს მეცნიერებაში არსებულ დიალექტიკური პროცესის უწყს ანალიზს და დაფუძნებულია სტუდენტის თავისუფალი აზროვნების უნარზე კონკრეტულ გარემოში, ძირითადი სამეცნიერო პრობლემების და კლინიკური თეორიების გააზრებაზე. ლექცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს: დემონსტრაციას, დისკუსიას, ინდექსი, დედექსიას, ანალიზს და სინთეზს.</p>
<p>სემინარი</p>	<p>სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს (შეძენილ ცოდნაზე დამყარებული), მოიპოვებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას და ა.შ. ის მოიცავს სიტყვით გამოსვლებს, დისკუსიებს, დასკვნებს.</p>
<p>პრეზენტაცია</p>	<p>კონკრეტული თემის აუდიტორიისთვის ლიმიტირებულ დროში წარდგენის პროცესი. ის ჩვეულებრივ არის დემონსტრაცია, რომლის მიზანია ინფორმირება, დაწესება ან კეთილგანწყობის დამსახურება. ის შეიძლება შესრულებულ იქნეს ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფში. ინტერდისციპლინურ მოდულურ პროზენტაცია ტარდება ინტეგრირებულად. ეს მეთოდი ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და ერთი საკითხის სხვადასხვა დისციპლინის წრილში გააზრებას.</p>
<p>პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – PBL</p>	<p>სესიაში ჩართულია 7-10 სტუდენტი, რომლებიც მუშაობენ ერთი პრობლემის ირგვლივ ფასილიტატორის ზედამხედველობის ქვეშ. ეფექტური გუნდური მუშაობა მნიშვნელოვანი ნაწილია PBL-ის, ასევე წყაროების დამოუკიდებლად მოძიება, საკუთარი სწავლის მიზნების განსაზღვრა, დამოუკიდებელი სწავლის უნარი და ჯგუფისთვის საკუთარი დასკვნების წარდგენა ეხმარება სტუდენტს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში. ეს მეთოდი გამოიყენება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების დისციპლინებში და ის ამარტივებს ინტერდისციპლინური სამედიცინო ცოდნის კლინიკურ ინტეგრაციას. ეს მეთოდი ასევე ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების უნარის ისევე, როგორც ანალიზის, სინთეზის, გუნდური მუშაობის და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთანავე, ის ავითარებს თანამშრომლობითი სწავლის/მუშაობის, კლინიკური მსჯელობის და გადაწყვეტილების მიღების, სამედიცინო დისკუსიებში მონაწილეობის უნარებს და კომუნიკაციას, პროფესიონალიზმს</p>
<p>ქეისზე დაფუძნებული სწავლება / დისკუსია (CBL, CBD)</p>	<p>აქტიური მეთოდი, სადაც სტუდენტები კითხულობენ და განიხილავენ კომპლექსურ, მტკიცებულებაზე დაფუძნებულ კლინიკურ შემთხვევებს. სტუდენტები მუშაობენ პატარა ჯგუფებში, რომელთა მიზანია თემატური დავალებების მომზადება და კონკრეტული პრობლემების გადაჭრა. ლექტორის ზედამხედველობით სტუდენტები განიხილავენ ქეისს, ახდენენ იდეების გენერირებას გონებრივი იერიშის დროს, სვამენ დიაგნოზს, 25 ნიშნავენ დამატებით გამოკვლევებს და ადგენენ მკურნალობის გეგმას. მეთოდი ავითარებს გუნდური მუშაობის, კლინიკურად მსჯელობის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ანალიზის და სინთეზის უნარებს.</p>
<p>ლაბორატორიული სამუშაო</p>	<p>თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად პრაქტიკულად გამოყენება არაკლინიკურ გარემოში. სტუდენტი მუშაობს მიკროსკოპთან; სხვადასხვა ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურასთან და დამოუკიდებლად ატარებს ცდებს, მუშაობს გვამების კვთაზე და წერს ლაბორატორიულ ანგარიშს. მეთოდი ხელს უწყობს პრაქტიკული და აპარატურასთან სათანადო სიზუსტით მუშაობის უნარების გამომუშავებას</p>
<p>სწავლება სიმულაციურ გარემოში (TSE)</p>	<p>სწავლება რეალობასთან დაახლოებულ გარემოში, სადაც გამოიყენება ანატომიური მულაჟები, გვამი, სიმულაციური მანეკენები, ფანტომები სიმულაციური პაციენტი (Body Interct). ამ შემთხვევაში სტუდენტები უფლებიან როგორც ცოდნას ასევე კლინიკურ უნარებს, ატარებენ მანიპულაციებს, ასევე ტარდება როლური თამაშები სადაც სტუდენტები ასახიერებენ პაციენტ-ექიმის როლებს.</p>
<p>სწავლება კლინიკურ გარემოში (TCE)</p>	<p>კლინიკური ვიზიტების სახით ტარდება პირველი ორი წლის მანძილზე, როცა სტუდენტი უზრუნველად დასწრება და აკვირდება პროცესს, ხოლო მესამე წლიდან იწყება კლინიკური როტაციის სახით კლინიკაში, როცა სტუდენტი ესწრება და ზოგ შემთხვევაში მონაწილეობს (დაშვებულის ფარგლებში) პროცესში; მეხუთე წელს კლინიკური პრაქტიკის სახით ინტენსიურად ჩართულია პროცესში ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. კლინიკური როტაციებისა და კლინიკური პრაქტიკის შემთხვევაში ხშირად გამოიყენება სწავლება პაციენტის საწოლთან.</p>

შეფასების სისტემა

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და შეფასების კომპონენტები შესაბამისობაშია აღნიშნული კომპონენტის მიზნებთან და ლოგიკურ ბმაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. ცოდნის და უნარების შესაფასებლად გამოიყენება ზეპირი და/ან წერილობითი გამოცდები. პროგრამაში გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასება.

პრაქტიკული აქტივობის შეფასება	პრაქტიკულ მეცადინეობაზე სიმულაციურ გარემოში სტუდენტი იმუშავებს საფანტომო მოდელებზე, შეასრულებს სილაბუსით განსაზღვრულ მანიპულაციებს და შეფასდება მანიპულაციის ჩატარების სიზუსტის და ხარისხის მიხედვით. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას
პროცედურული უნარების შეფასება პირდაპირი დაკვირვების ქვეშ (DOPS)	სტუდენტი შეასრულებს კონკრეტულ მანიპულაციას, როგორცაა (მაგალითად წნევის გაზომვა). შეფასდება სტუდენტის მიერ კლინიკური მანიპულაციის ზუსტი თანმიმდევრობითა და ხარისხიანად შესრულების უნარი. შესაძლოა შეფასდეს როგორც კლინიკურ, ისე სიმულაციურ გარემოში.
მინი კლინიკური გამოცდა (Mini-CEX)	სრულდება კლინიკურ გარემოში (სიმულაცია ან პაციენტთან მუშაობა) სტუდენტის პაციენტთან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს დროს, რომლის დროსაც სტუდენტი ზედამხედველობის ქვეშ საწყისი ფაზიდან ბოლომდე მართავს პაციენტს. ფასდება სამედიცინო ინტერვიუს ადების, სამედიცინო ისტორიის შევსების, ფიზიკური დათვალიერების, კონფიდენციალობის დაცვის, რისკების ადეკვატურად შეფასების, სამომავლო გამოკვლევების და მკურნალობის მიმართულებების დაგეგმვის და საკუთარი შესაძლებლობების ზღვარისა და პაციენტის სწორად გადამისამართების უნარები.
ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა OSCE	ტარდება სიმულაციურ გარემოში მანეკენებზე, ფანტომებსა, სიმულაციურ და სტანდარტიზებულ პაციენტზე პრაქტიკული კლინიკური უნარებისა და კლინიკური აზროვნების შეფასების მიზნით. გამოცდა უნდა მოიცავდეს არაუმცირეს 10 სადგურისა. დასაშვებია სხვადასხვა კლინიკური საგნის ინტეგრირება.
ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა OSPE	ტარდება ბიოსამედიცინო საგნებში მიკროსკოპებთან და ლაბორატორიულ ტექნიკასთან მუშაობის უნარების შეფასების და პრეპარატების სწორად ამოცნობის მიზნით

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით:

ყოველკვირეული აქტივობა	შუალედური ან ბლოკის გამოცდა	ფინალური გამოცდა
წერილი და ზეპირი ქვიზები, PBL, CBL პრეზენტაცია,	ტესტები	განისაზღვრება ინდივიდუალურად კურსის/ბლოკის სილაბუსით
0-40 ქულა	0-20 ქულა	0-40 ქულა

სტუდენტს კრედიტი ენიჭება 100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მიღებისა და შესაბამისი საგნის/ბლოკის კომპეტენციის ფლვარის გადალახვის შემთხვევაში

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	საშუალო
51-60 (E)	დამაკმაყოფილებელი
41-50 (FX)	ვერ ჩააბარა - სტუდენტს აქვს გამოცდის გადაბარების უფლება
0-40 (F)	ჩაიჭრა - სტუდენტს კურსი/ბლოკი ახლიდან აქვს გასავლელი



სასწავლო სივრცე

ბაუ კამპუსი

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს ახალ შენობაში კარგად აღჭურვილი აუდიტორიებით, კომპიუტერული კლასებით, სასწავლო ლაბორატორიებით და ბიბლიოთეკით. თანამედროვედ აღჭურვილი ინფრასტრუქტურა და პარტნიორ კლინიკებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები უზრუნველყოფს კლინიკურ-პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას.

კამპუსის სასწავლო ფართში განთავსებულია 9 სასწავლო და 1 კვლევითი ლაბორატორია, ასევე სიმულაციურ გარემოში სწავლებისათვის განკუთვნილი კლასები:

- მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია;
- ფარმაკოგენეტიკის ლაბორატორია და რეალური დროის PCR ლაბორატორია;
- ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის და ფიზიოლოგიის ლაბორატორია;
- ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია;
- კლინიკური და პროფესიული სტომატოლოგიური უნარების ლაბორატორია;
- სტომატოლოგიური პროთეზების ტექნიკური ლაბორატორია;
- სტომატოლოგიური კლინიკის სიმულაციური ლაბორატორია;
- ანატომიისა და PBL/CBL კლასი;
- OSCE-ის ცენტრი
- ანატომიური კვეთის ლაბორატორია.



სტომატოლოგიური ლაბორატორიები

კლინიკური და პროფესიული სტომატოლოგიური უნარების ლაბორატორია, რომელსაც გააჩნია 30 სტუდენტის ტევადობა, წარმოადგენს საშუალებას სადაც სტუდენტებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი პრაქტიკული უნარები და შეისწავლონ სტომატოლოგიის პროფესიული პროცედურები კლინიკური პრაქტიკის გავლამდე. ლაბორატორიაში არის კამერების სისტემები, რომელთაც შეუძლიათ ჩაწერონ მაღალი რეზოლუციის მქონე სურათები. გარდა ამისა, ლექტორების მიერ განხორციელებულ მანიპულაციებს აქვს მაღალი ხარისხის ჟღერადობა. პრაქტიკული სამუშაო მაგიდა აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიის სტომატოლოგიური მოწყობილობებით და ავტომატური LCD მონიტორის სისტემებით. ლექციის მსვლელობისას, სტუდენტებს ერთდროულად შეუძლიათ თვალი ადევნონ, მოისმინონ და გაიმეორონ თავიანთ მაგიდაზე ლექტორების მიერ შესრულებული მანიპულაციები. ლაბორატორიაში სულ 30 ფანტომია. წინასწარ განსაზღვრული მკურნალობის გეგმების შესაბამისად სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიმუშაონ პროფესიული ცოდნა და უნარები, ფანტომებზე საჭირო მანიპულაციების ჩატარების გზით. გარდა ამისა, სტუდენტები შეისწავლიან ერგონომიულ სამუშაო პოზიციებს, რათა იმუშაონ სწორ მდგომარეობაში.



სტომატოლოგიური პროთეზების ტექნიკური ლაბორატორია საშუალებას იძლევა სტუდენტებმა შეისწავლონ მოუხსნელი და მოსახსნელი კონსტრუქციების ლაბორატორიული ეტაპები, რომელიც მზადდება პაციენტისთვის რეალურ მოდელებზე. აღნიშნულ ლაბორატორიაში არის ასევე სატექნიკო ლაბორატორიული დანადგარები რომელიც აღჭურვილია ბოლო თაობის ტექნოლოგიებით, სადაც ერთზე მეტ სტუდენტს შეეძლება კომფორტულად მუშაობა, დაკვირვება და პრაქტიკის მიღება საანაბეჭდო მასალებზე, პლასტმასზე, ცვილზე, მეტალზე, აკრილისა და კერამიკულ მასალებზე.

სტომატოლოგიური კლინიკის სიმულაციური ლაბორატორია სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ პაციენტთან კომუნიკაცია კლინიკაში პაციენტის მკურნალობამდე, მათ ასევე შეუძლიათ შეიძინონ კლინიკური უნარები სიმულაციური თამაშებით, ეს ლაბორატორია არის ნამდვილი სტომატოლოგიური პრაქტიკის ანალოგი. აღნიშნულ ლაბორატორიაში, სტუდენტები ისწავლიან სტერილიზაციას, განივითარებენ კომუნიკაციის უნარს სიმულაციურ პაციენტებთან ურთიერთობით. სტუდენტის კლინიკაში გაგზავნამდე მათი კომპეტენციები შეფასდება OSCE-ისა და DOPS-ის მეშვეობით.



ბაუ საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა

კლინიკული როტაციები და კლინიკური პრაქტიკა ტარდება საუნივერსიტეტო კლინიკაში რომელიც აღჭურვილია 4 თანამედროვე სტომატოლოგიური დანადგარით, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი სტომატოლოგიური მანიპულაციის ჩატარება, გარდა ამისა საუნივერსიტეტო კლინიკაში ფუნქციონირებს დენტალური რენტგენი რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს რეალურ პაციენტებზე სადიაგნოსტიკო რენტგენის გადაღება, განხილვა, მკურნალობის დაგეგმვა და შემდგომ სამკურნალო პროცედურების ჩატარება, საუნივერსიტეტო კლინიკაში დაცულია სტერილიზაციის თანამედროვე სტანდარტები, რომელიც ხორციელდება შესაბამისი ინსტრუმენტების შეფუთვისა და სასტერილიზაციო ავტოკლავის აპარატის გამოყენებით, გარდა ამისა კლინიკა მომარაგებულია სტომატოლოგიის ყველა მიმართულების შესაბამისი ინსტრუმენტებითა და მასალებით. კლინიკური პრაქტიკა ასევე ტარდება უნივერსიტეტთან აფილირებულ საბაზო კლინიკებში.



აკტორები

ბაუს წევრები

დემეტ აქინ - რექტორი

გიორგი ცხველიანი - ვიცე-რექტორი

ლელია ახვლედიანი - მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დეკანი

თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ანი ქვათაძე, სალომე აბულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

კურიკულუმის განვითარების ჯგუფი

ემირ იუზბაშიოდლე - DMD, PhD, სტომატოლოგი-ორთოპედი.

ირაკლი ჩაჩუა - DMD, სტომატოლოგიური კლინიკა „ზეპელინის“ დირექტორი, სტომატოლოგი-ქირურგი, იმპლანტოლოგი.

ნინო თებიძე - DMD, PhD, სტომატოლოგი-თერაპევტი.

თამარ დგებუაძე - DMD, სტომატოლოგი-თერაპევტი.

ნატალია ქურდაძე - DMD, სტომატოლოგი-ორთოპედი.

ფინარ ქარაბათან - DMD, PhD, ბავშვთა სტომატოლოგი

გოდერძი ნაკაშიძე - DMD, სტომატოლოგი, სტომატოლოგიური კლინიკა "როგოს" დირექტორი.

ბარე შემფასებლები

შირინ კარადენიზ - ბაკჩეშეჰირის უნივერსიტეტი, პროფესორი, რექტორი.

სულჩუკ ბაზა - ბაკჩეშეჰირის უნივერსიტეტი, პროფესორი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

ირაკლი მაჭავარიანი - შპს "დენტალ მარკეტის" დირექტორი.

ბელა მარდვლიანი - შპს "ბელა დენტის" დირექტორი.